საქართველოს პრემიერ-მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 453 2019 წლის 8 ნოემბერი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე

1. „საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 26 ივნისის №340 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის დებულება“.

2. ბრძანება ძალაშია 2019 წლის 1 ნოემბრიდან.

გიორგი გახარია

დამტკიცებულია
საქართველოს პრემიერ-მინისტრის
2019 წლის 8 ნოემბრის
№ 453 ბრძანებით

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის სამსახური (შემდგომში – სამსახური) არის საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეული, რომელიც თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით, სხვა კანონებით, საქართველოს მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, საქართველოს სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტებით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დებულებით, ამ დებულებით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის შინაგანაწესითა და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით.

2. სამსახურის ფუნქციები, სტრუქტურა და უფლებამოსილებები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დებულებითა და ამ დებულებით, რომელსაც დადგენილი წესით ამტკიცებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

3. დაკისრებულ ფუნქციათა განსახორციელებლად სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, თანამშრომლობს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებთან, სხვა უწყებებსა და ორგანიზაციებთან.

მუხლი 2. სამსახურის ფუნქციები და ამოცანები

სამსახურის ფუნქციები და ამოცანებია:

ა) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის ერთიანი პოლიტიკის შემუშავება;

ბ) მოსამსახურეთა საქმიანობის შეფასების თანამედროვე სისტემის შემუშავება და დანერგვა;

გ) მოსამსახურეთა პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით საჭირო ღონისძიებათა დაგეგმვა და განხორციელება;

დ) ადამიანური რესურსების შესახებ მონაცემთა ერთიანი ბაზის პერიოდული განახლება;

ე) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში კონკურსის ორგანიზება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ვ) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საშტატო ნუსხის სისტემატიზაცია და არსებული საჭიროებების აღრიცხვა, საშტატო ნუსხით გათვალისწინებული პოზიციების შესაბამისი სამუშაო აღწერილობების შემუშავება და მათ პერიოდული განახლება;

ზ) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სტრუქტურის დახვეწა, მასში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე წინადადებების მომზადება;

თ) შრომითი და ადმინისტრაციული ხელშეკრულებების მომზადება და მათი გაფორმების ორგანიზება;

ი) სტაჟირებასთან დაკავშირებული საკითხების ორგანიზება და სტაჟირების პროცესის კოორდინაცია;

კ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ დასანიშნ თანამდებობებზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;

ლ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მოსამსახურეთა დანიშვნის, გადაყვანის, გათავისუფლების, წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიებათა გამოყენების, შვებულებისა და მივლინების შესახებ ბრძანების პროექტის მომზადება და ადამიანური რესურსების საკითხებთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების განხორციელება;

მ) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საჯარო მოსამსახურეებისთვის საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის შინაგანაწესის გაცნობა;

ნ) მოსამსახურეთა პირადი საქმეების შედგენა და წარმოება;

ო) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში დასაქმებული პირებისათვის სახელფასო და სამსახურებრივი ცნობების გაცემა;

პ) კომპეტენციის ფარგლებში, სხვადასხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულების, მოქალაქეთა განცხადებებისა და წერილების დადგენილი წესით განხილვა და მათზე რეაგირება;

ჟ) საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის ცალკეულ დავალებათა შესრულება.

მუხლი 3. სამსახურის ხელმძღვანელობა

1. სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ამ უფლებამოსილების საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსისათვის დელეგირების შემთხვევისა.

2. სამსახურის უფროსის არყოფნის პერიოდში, სამსახურის უფროსის წარდგინებითა და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის გადაწყვეტილებით, სამსახურს ხელმძღვანელობს მისი ერთ-ერთი თანამშრომელი (სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი).

3. სამსახურის უფროსი:

ა) საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის დავალებებისა და ამ დებულების შესაბამისად, უზრუნველყოფს სამსახურის საქმიანობას, პასუხისმგებელია საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშე დაკისრებული მოვალეობების ჯეროვან შესრულებაზე;

ბ) ანაწილებს საქმეს სამსახურის შესაბამის თანამშრომლებს შორის და უზრუნველყოფს მათი საქმიანობის კოორდინაციას;

გ) დადგენილი წესით, განსაზღვრავს სამსახურის თანამშრომელთა ფუნქციურ მოვალეობებსა და უფლებამოსილებებს;

დ) ხელმძღვანელობს სამსახურის მიმდინარე საქმიანობას;

ე) კანონმდებლობით დადგენილი წესით, უზრუნველყოფს სამსახურის თანამშრომელთა საქმიანობის სამსახურებრივ ზედამხედველობას;

ვ) საქართველოს პრემიერ-მინისტრს დასანიშნად წარმოუდგენს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად შერჩეულ სამსახურის თანამშრომელთა კანდიდატურებს;

ზ) ამზადებს წინადადებებს სამსახურის თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

თ) ხელმოწერით ადასტურებს სამსახურიდან გასულ დოკუმენტებსა და სხვა მასალებს;

ი) წარმოადგენს სამსახურს სხვა სახელმწიფო დაწესებულებებთან ურთიერთობისას;

კ) შეიმუშავებს სამსახურის დებულებისა და სტრუქტურის პროექტს საქართველოს პრემიერ-მინისტრისათვის წარმოსადგენად;

ლ) ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს, უზრუნველყოფს საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის სხვა დავალებების შესრულებას.

მუხლი 4. სამსახურის თანამშრომლები

სამსახურის თანამშრომლები არიან საჯარო მოსამსახურეები, რომლებსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ამ უფლებამოსილების საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსისათვის დელეგირების შემთხვევისა.